

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის- თავმჯდომარის ალექსანდრე თოფურიას 2016 წლის 31 ოქტომბრიდან 2017 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

30 ოქტომბერი 2017 წელი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 44-ე მუხლის შესაბამისად, როგორც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და თავმჯდომარე ვახორციელებდი საქართველოს კანონმდებლობით და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს. კერძოდ: ვუძღვებოდი საკრებულოს მუშაობას, საერთო ხელმძღვანელობას ვუწევდი საკრებულოს კომისიების დროებითი სამუშაო ჯგუფების, საკრებულოს აპარატის და საკრებულოს თანამდებობის პირთა საქმიანობებს. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს ბიუროს 28 და საკრებულოს 27 სხდომა, სადაც მიღებულ იქნა 80 განკარგულება და დამტკიცდა 34 დადგენილება.

2017 წლის 5 იანვარს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი, ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. ამიტომ აღნიშნული მიმართულება ქალაქის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ფოთში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ასფალტის საფარის ორმოული შეკეთება, რაც აუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. კერძოდ, ხელს უწყობს არსებულის შენარჩუნებას მიმდინარე მიწისქვეშა საკომუნიკაციო სამუშაოების ფონზე. ქუჩებისა და სანაპირო ზოლის მიმდებარე გზის მოხრეშვა-დაგრეიდერება, შუქნიშნების მოვლა-პატრონობა, საგზაო ნიშნების მოწყობა (ქუჩების მონიშვნა ნიტრო საღებავით). აგრეთვე, 2017 წლის ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მრავალბინიანი ს/სახლების რეაბილიტაცია, მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში არსებული ლიფტების, საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის, მრავალბინიანი ს/სახლების სახურავების რეაბილიტაციის პროექტირების და ს/სახლების სახურავების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, მრავალბინიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაციის სამუშაოები, ჩამდინარე წყლების მართვის, არსებული ქსელის მოვლა-შენახვის, დახურული სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია, ბინების შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, გარე განათების

არსებული ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაციის, გარე განათებისა და სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობის და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია, განათების მოწყობა, დაზიანებული და ამორტიზებული სანათების შეცვლა, ასევე ფინანსდება გარე განათების, საცხოვრებელი სახლებისა და ძეგლების მინათების და სხვა ტიპის განათების ელექტროენერჯის ხარჯები. ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს საიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, ქალაქის ქუჩების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლება და ნარჩენების მართვის სხვა ღონისძიებები, ასევე დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების სამუშაოები. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ქალაქში არსებული ხიდებისა და ცენტრალური გზების ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება. ქალაქის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ მოწყობილ თავშესაფარში. ამით უზრუნველყოფილია მაწანწალა ცხოველების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. ქალაქში არსებული სანიაღვრე არხების ქსელები სრული დატვირთვით ვერ მუშაობს, რადგან ისინი ზოგან ჩახერგილია, ზოგან კი მოშლილია. ამ ეტაპისთვის, ქალაქის რამდენიმე ქუჩაზე მოწყობილია ახალი სანიაღვრე არხი. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები, რაც გულისხმობს დახურული სანიაღვრე არხების მშენებლობა - რეაბილიტაციას, ასევე ხორციელდება ბინების შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების შლამისა და ნატანისაგან გაწმენდა, აღდგენა, მოვლა - პატრონობა და სატუმბო სადგურების ელ. ენერჯის ხარჯების ანაზღაურება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, სადღესასწაულო ქალაქგაფორმება, დიდების მემორიალის, სკვერების, პარკების, ქალაქის ქუჩებისა და მრავალბინიანი ს/სახლების გამწვანებული ეზოების მოვლა-პატრონობა, მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობა, მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაცია. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, მიღებული პროგრამის ძირითადი არსია ქალაქში სპორტის შემდგომი განვითარება, ქალაქის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, სააერთაშორისო ტურნირები), სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდისათვის ხელშეწყობა, „სპორტი ყველასათვის“ პროექტების რეალიზაცია, ქალაქის ნაკრები გუნდების წევრებისათვის მაღალი დონის სასწავლო და საწვრთნელი პირობების შექმნა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება და ანტიდოპინგური ღონისძიებების განხორციელება, სპორტული ობიექტებით, სპორტული ფორმითა და ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტსმენთა ტრანსპორტით მომსახურება, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, ადგილობრივი ტურნირების და პირველობების ორგანიზება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია, მაღალი კლასის სპორტული რეზერვების მომზადება და ჯანსაღი მომავალი თაობის ჩამოყალიბება. ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარისხით და შედეგებით ფასდება ფოთის პერსპექტიული სპორტსმენების და სპორტის დამსახურებული მუშაკების მოღვაწეობა, ტურნირები ( პირველობები ) ხელს უწყობს სპორტის შემდგომ განვითარებას კრივში, რაგბში, ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში, კალათბურთში, ხელბურთში, საბაიარო და კანოეთ ნიჩბოსნობაში, აფროსნობაში, წყალსათხილამურო სპორტში, შაშში. ტურნირის ჩატარების პერიოდში ხორციელდება გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოება შესაბამისი სახეობების მიხედვით თასებით, მედალებით, დიპლომებით და სხვა ფასიანი საჩუქრებით, წლის საუკეთესო სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება ფულადი ფორმით, რაც ხელს უწყობს სპორტული შეჯიბრებების, თამაშების კულტურის ამაღლებას და საერთო ჯამში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობას იღებს დაახლოებით 1600 სპორტსმენი და 10000 მაყურებელი. ქალაქში არსებობს რამოდენიმე მინი სპორტული მოედანი, რომელსაც საკმაოდ აქტიურად იყენებენ ახალგაზრდები თავისუფალი დროის გასატარებლად. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტი აფინანსებს სახელოვნებო სკოლებს, რომლის მიზანია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებისათვის თანაბარი პირობების შექმნა, მოსწავლეთა მიერ შესაბამისი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების შესწავლა, სამხატვრო და ნატიფი ხელოვნების პროფესიების სწავლება, წვლილის შეტანა ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ტრადიციების შენარჩუნებასა და აღორძინებაში, ქართული ხალხური ფოლკლორის პროპაგანდა, კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა და წარმოჩენა. სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებით ხდება ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა

გამოვლენა და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, დაჯილდოება, მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების, სტუდიების, მოყვარულთა გაერთიანებების წარმოჩენა და განვითარება, მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლება, საკუთარი ინდივიდუალურობის, ნიჭისა და ხელოვნებითი შემოქმედების გამოვლენა, სკოლისგარეშე დროის საინტერესოდ ორგანიზება, თემატური ინფორმაციების მოძიება-დამუშავება, სააზროვნო და სოციალური უნარების განვითარება, სკოლისგარეშე შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება, ხელოვნების სხვადასხვა დარგების გაცნობა, შემოქმედ ბავშვთა წარმოჩენა. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, ფინანსდება ქ. ფოთის ვალერიან გუნძას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი, თეატრის ძირითად ფუნქციებს, მიზნებსა და საქმიანობის საგანს წარმოადგენს მსოფლიო და ეროვნულ თეატრალური ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების დადგმა, აგრეთვე სხვა ტიპის წარმოდგენებისა და შემოქმედებითი პროექტების განხორციელება, თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა. მოსახლეობისათვის კლასიკური და თანამედროვე თეატრალური ნამუშევრების გაცნობა. ეროვნული და მსოფლიო თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, თეატრალური ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების პროპაგანდა. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის პროგრამის ძირითადი არსია მკითხველთა დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), ხელსაყრელი პირობების შექმნა პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის, შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მოსახლეობის მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ისე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკაშორისო აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთაცვლის საშუალებით, მოსახლეობის ყველა ფენის მომსახურება საბავშვო ან მასობრივ ბიბლიოთეკებში ფონდების შექმნის მიზნით, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა. ბიუჯეტის ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა მოღვაწეობის წარმოჩინებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა, უცხოური ინვესტიციებისა და დონორი ორგანიზაციების მოზიდვა ქალაქისათვის მნიშვნელოვანი ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისათვის. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით დიდი ყურადღება ეთმობა ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენას და მათი

შემოქმედებითი უნარის ზრდის ხელშეწყობას. 2017 წლის ბიუჯეტის პროგრამა ემსახურება მოსწავლეთა ტექნიკური, საბუნებისმეტყველო, ეკოლოგიური, მხატვრული და ესთეტიკური კუთხით განვითარებას, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და სწავლებას, კულტურული დონისა და ეროვნული სულის ამაღლებისთვის ზრუნვას, ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენასა და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობას, მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების, სტუდიების, მოყვარულთა გაერთიანებების, საერთო-შემეცნებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას, საგნობრივი წრეების შექმნას მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით. პროგრამის ფარგლებში იგეგმება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძრის მინათების, გარე განათების და საჭიროებისამებრ გარკვეული სამუშაოების დაფინანსება. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქისათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. სოციალური დაცვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სოციალური დახმარება როგორც ფულადი, ასევე სხვადასხვა სოციალური შეღავათების დაწესების გზით, რაც აუმჯობესებს შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობას. ხორციელდება მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის და სოციალურ ეკონომიკური კვლევების ორგანიზება და სხვა ღონისძიებები. 2017 წლის ბიუჯეტის პროგრამის მიზანია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა-შენარჩუნება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება, ანტირაბიული, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება, ნარკომანიის, თამბაქოს, ალკოჰოლიზმის, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის პროპაგანდა, მუშაობა მიზნობრივ ჯგუფებთან, მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო სამუშაოების წარმოება. ბიუჯეტის პროგრამები მოიცავს მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამას, მოსახლეობის და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამას, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირების პროგრამას, გინეკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევისა და პროფილაქტიკის პროგრამას, სასმელი, სარეკრიაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამას. 2017 წლის ბიუჯეტის პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში

კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახალშობილთა ოჯახების დახმარებას, დაუძღვრებული და ლოგინს მიჯაჭვული ბენეფიციარებისათვის სოციალური და სამედიცინო სერვისების მიწოდებას ადგილებზე და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სამუშაო ადგილების დეფიციტის გამო მარტოხელა დედების უმრავლესობა უმუშევარია, მათ მძიმე ტვირთად აწევთ მცირეწლოვანი შვილების მოვლა-პატრონობა. იზრდება მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა რაოდენობა, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, მარტოხელა დედებისთვის გათვალისწინებულია დახმარება 40 ლარის ოდენობით მოზარდის 16 წლის ასაკის შესრულებამდე. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი მოიცავს, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, ამავე ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარების პროგრამას, უსინათლოების მატერიალური დახმარების პროგრამას. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი ითვალისწინებს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა უზრუნველყოფას თავშესაფრით, კვებით, ბავშვთა დასვენება-გაჯანსაღებას (საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლი). პროგრამის ბენეფიციარია 10 ბავშვი. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის პროგრამა გულისხმობს უსინათლო პენსიონერთათვის ყოველთვიურად 30-ლარიან შეღავათიან პაკეტს კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად. არამდგრადი შრომის ბაზარი და მისგან გამოწვეული ეკონომიკური და ყოფა-ცხოვრების პირობების დინამიკური განუვითარებლობა, სოციალურად დაუცველი ოჯახები, საკვებ პროდუქტებზე მაღალმა ფასებმა მოითხოვა შექმნილიყო ერთჯერადად უფასო კვების სერვისი. აღნიშნულ სერვისში ყოველდღიურად სადილობს 220 ბენეფიციარი. ზემოხსენებული ღონისძიება ფინანსდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის პროგრამა უზრუნველყოფს ახალგაზრდა ოჯახების წახალისებას, რათა ხელი შეუწყოს დემოგრაფიული ფონის გაუმჯობესებას. პროგრამის ფარგლებში ყველა ახალშობილი ოჯახისათვის (მათ შორის, ქალაქ ფოთში რეგისტრირებულ დევნილებზე) გათვალისწინებულია ერთჯერად 100 ლარით დახმარება. ქალაქში დემოგრაფიული სიტუაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მკვიდრ, ასევე ქალაქ ფოთში რეგისტრირებულ დევნილთა მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებიც ზრდიან 3, 4 და მეტ არასრულწლოვან მოზარდს (უფროსი შვილის 16 წლის შესრულებამდე) ბოლო შვილზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით დაენიშნა ყოველთვიური მატერიალური დახმარება: 3-

შვილიან ოჯახს - 50 ლარი; 4-შვილიან ოჯახს - 100 ლარი; 5-შვილიან ოჯახს - 190 ლარი; 6-შვილიან ოჯახს - 220 ლარი; 7-შვილიან ოჯახს - 300 ლარი; 8 და მეტშვილიან ოჯახს - 450 ლარი. პროგრამის ბენეფიციარია დაახლოებით 271-მდე ოჯახი. ქალაქში დემოგრაფიული სიტუაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მკვიდრ, ასევე ქალაქ ფოთში რეგისტრირებულ დევნილთა მრავალშვილიან ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ ხუთი და მეტი შვილი (უფროსი შვილის 18 წლის შესრულებამდე) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე, წელიწადში ერთხელ გაიცემა მატერიალური დახმარება 2000 ლარის ოდენობით. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სადღესასწაულო დღეებში შემდეგი კატეგორიის ბენეფიციარების მატერიალურ წახალისება: დედიტა და დედ-მამით ობლები 17 წლამდე ასაკის (სულ 32 ბავშვი, მათ შორის: 21 ვაჟი და 11 გოგო) – 100 ლარი წელიწადში ორჯერ. 1989 წლის 9 აპრილის მონაწილეები (1 ქალი) – 500 ლარი ერთჯერადად. ქალაქის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პენსიონრები (სოციალურად დაუცველი ქალაქის საპატიო მოქალაქეები) (სულ 30 პირი, მათ შორის 20 ქალი და 10 მამაკაცი) – 100 ლარი წელიწადში ორჯერ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები 17 წლამდე ასაკის მოზარდები (სულ 96 ბავშვი, მათ შორის: 60 ვაჟი და 36 გოგო) – 100 ლარი წელიწადში ორჯერ. ქალაქში მცხოვრები უხუცესები (სულ 90 პირი, მათ შორის 79 ქალი და 11 მამაკაცი) – 100 ლარი წელიწადში ერთჯერ. სკოლის წარჩინებული მოსწავლეები – 100 ლარი ერთჯერადად. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტის პროგრამის მიზანია შინმოვლის სერვისის განვითარებისა და დანერგვის გზით უნარშეზღუდული/მოწყვლადი მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება. კვალიფიციური სამედიცინო და სოციალური მომსახურების მიწოდება საცხოვრებელ ადგილზე იმ პირთათვის, რომლებიც საკუთარ თავს ვერ უვლიან. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ქალაქში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები. 2017 წელს სავარაუდოდ მოხდება 100-110 ვაჟის გაწვევა.

თებერვალში საკრებულოს სხდომათა დარბაზში დავესწარი შეხვედრას, სადაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით საქართველოს რეგიონებში „ნადირობის შესახებ“ ახალი კანონპროექტი შეხვედრაზე კანონპროექტის შესახებ იმსჯელეს და ადგილობრივი მონადირეების შენიშვნები და წინადადებები მოისმინეს. კანონპროექტი 2016 წელს სამინისტროს მიერ იქნა შემუშავებული და ითვალისწინებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ეროვნულ დონეზე შერულებას. კანონის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრადი ნადირობის ჩამოყალიბებას და

აწესრიგებს გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტების მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად სარგებლობისა და ნადირობის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. მათი განმარტებით კანონპროექტში ყველა შენიშვნა და რეკომენდაცია მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული.

აპრილის თვეში ძლიერი ქარის გამო, რამდენიმე საცხოვრებელი სახლის სახურავი დაზიანდა. ქარმა ნინოშვილის ქუჩის მრავალბინიან კორპუსს და მე-17 სკომლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების შენობას სახურავები ახადა. შექმნილ მდგომარეობას ადგილზე გავეცანი. დაზიანებული შენობების მდგომარეობის შესწავლის შემდეგ მუნიციპალიტეტმა შესაბამისი ღონისძიებები გაატარა.

ივნისის თვეში დავათვალიერე კოსტავას ქუჩაზე მდებარე უპოვართა სასადილოში სამზარეულოს კაპიტალური რემონტის მიმდინარეობა. სამუშაოს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს „მშენებელი 2015“ შეასრულა. აღნიშნული რემონტისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თექვსმეტი ათას ხუთასი ლარი გამოიყო. დღეისათვის მუნიციპალური სასადილოთი წლის განმავლობაში 220 ბენეფიციარი სარგებლობს. დავათვალიერე მშვიდობის ქუჩაზე სანიაღვრე სატუმბი სადგურის მშენებლობის მიმდინარეობა. სამუშაოები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მოპოვებული გრანტით ხორციელდება და მას ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „კირსი“ აწარმოებს. პროექტის ღირებულება 869 ათას 887 ლარს შეადგენს.

ფოთის მუნიციპალიტეტში კუნძულის სანაპირო ზოლზე ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდა. ამ თემასთან დაკავშირებით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების მენეჯერს შევხვდით და განვიხილეთ ყველა ის საკითხი, რაც ამ პროექტის განხორციელებისთვის არის საჭირო. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გარემოს დაცვის სამინისტროსა და გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან ერთად მუშაობის შედეგად შავი ზღვის სანაპიროზე მოიძია ის უბნები, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან ეროზიას და მათგან შეირჩა ფოთი. შეხვედრა მოეწყო ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურში, დავათვალიერეთ კუნძულის უბნის სანაპირო ზოლი და ადგილზე გავეცანით ტექნიკურ საკითხებს (ზღვის სიღრმე, სიგანე). შეირჩა ადგილები, სადაც სამუშაოების დაწყებამდე უნდა განთავსდეს ტალღმტეხი ნაგებობები (ტეტრაპოდები), რომლითაც ზღვის სანაპიროს გამაგრება მოხდება. პროექტის მიხედვით, კუნძულის უბანში, 2 კმ-მდე სიგრძის სანაპირო ზოლზე ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდება, სადაც 8000 ცალი ტეტრაპოდი განთავსდება.

ზაფხულში საზღვაო სეზონისთვის შექმნილ სამაშველო სამსახურის თანამშრომლებს შევხვდით. შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილმა სამაშველო სამსახურმა მუშაობა დაიწყო და სექტემბრამდე იფუნქციონირა. მაშველთა ჯგუფები მალთაყვის, ნაბადის და პორტის შესამამისი ბარიერებით მონიშნულ სანაპირო ზოლზე გადანაწილდნენ და ტერიტორიზე უსაფრთხოების ზომების დაცვას დილის 9-დან - ღამის 9 საათამდე უზრუნველყოფდნენ. დამსვენებლების უსაფრთხოებაზე 18 მაშველი ზრუნავდა. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ წყალზე მცურავი საშუალებები - კატერები და სკუტერები გამოყო. მაშველებთან საუბრისას ხაზი გაესვა სამაშველო სამსახურის მნიშვნელობას. საზღვაო ქალაქისათვის მომსახურების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება და მაღალი დონე ხელს შეუწყობს საზღვაო კურორტის განვითარებას, უსაფრთხოებას და ჩვენი ქალაქის პოპულარიზაციას. ასევე, ქალაქში სამუშაო ვიზიტით მყოფ შვედეთის დელეგაციას შევხვდი. დელეგაციის შემადგელობაში პროექტების საერთაშორისო კოორდინატორი სტეფან ედელსვარდი და შინმოვლისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მენეჯერი ჯესიკა ჰელმეფორსი იმყოფებოდნენ. შვედეთის დელეგაციის ვიზიტის ერთერთ მთავარ მიზანს ფოთის საზოგადოების დაკვეთით მათთვის მნიშვნელოვან და აუცილებელ საკითხებზე ტრენინგის დაგეგმვასა და ჩატარებას წარმოადგენდა. ვისაუბრეთ ახალი პროექტების წამოწყებაზე, რომელიც სოციალურ და ჯანდაცვის თემებს შეეხება. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ქალაქებს შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთობებს და სამომავლოდ სოციალურ პროექტებთან დაკავშირებულ თანამშრომლობის პერსპექტივებს. შვედეთის ქვეყნის მრავალწლიანი გამოცდილების გაზიარება ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესია. 2007 წლიდან ქალაქისთვის ბევრი რამ გაკეთდა მათი ხელშეწყობითა და დახმარებით და ბევრ სასიკეთოს ელოდება სამომავლოდაც. გაზაფხულზე შევხვდი სტუმრად მყოფ ქალაქ ფოთს ისრაელის ქალაქ კირიატ-იამის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში იყვნენ კირიატ-იამის ვიცე-მერი, ხაიფისა და ჩრდილოეთ ოლქის ქართულ - ებრაული კულტურისა და ხელოვნების ცენტრის თავმჯდომარე, მსოფლიო ხალხთა ეროვნული და კლასიკური ცეკვების "ფესტივალ კარმიელის" საზოგადოების პრეზიდენტი. ფოთთან დამეგობრებული, ისრაელის ქალაქ კირიატ-იამის დელეგაციის ჩამოსვლის მიზანს, წარმოადგენდა საერთაშორისო ფესტივალ „კარმიელში“ ანსაზლ „ფაზისის“ მიწვევა, რომელიც ისრაელში აგვისტოს თვეში გაიმართა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF) „მუნიციპალური შესაძლებლობების განვითარების პროექტის“ ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონფერენციო დარბაზში დავესწარი შეხვედრას. შეხვედრის მიზანს ადგილობრივი თვითმმართველობების გასაძლიერებლად და მათი შესაძლებლობების განსავითარებლად შემუშავებული ტრენინგ პროგრამის შესახებ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა. პროგრამას, რომელიც საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სივრცითი დაგეგმვის, აქტივების მართვისა და კაპიტალური საინვესტიციო

გეგმების შემუშავების კუთხით მხარდაჭერას ითვალისწინებს, ნიდერლანდური ორგანიზაცია Ecorys ქართულ კომპანიებთან - PMCG და GeoGraphic კონსორციუმში ახორციელებს. პროგრამა „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის“ (srmidp) ნაწილია, რომელიც მსოფლიო ბანკის და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს ერთობლივი მხარდაჭერით მიმდინარეობს. მისი განხორციელება 2017 წლის აპრილში დაიწყო და 2019 წლის მარტამდე გაგრძელდება.

ასევე, სისტმატურად ვათვალისწინებდი მრავალბინიან კორპუსებში შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებს. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს „ნიუპოვერი“ აწარმოებს, რაც სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტის მიხედვით, სულ ქალაქში 35 მრავალსართულიანი კორპუსის შიდა საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციაა დაგეგმილი, რისთვისაც ჯამში ექვსას შვიდი ათას ხუთას სამოცდათვრამეტი ლარი გამოიყო.

ფოთში მალთაყვის სანაპირო ზოლის მშენებლობის პირველი ეტაპი სრულდება. უკვე მოწყობილია 3 კილომეტრამდე სიგრძის ახალი პლაჟი, ხოლო პროექტის დასრულების შემდეგ მალთაყვას 7-კილომეტრიანი კეთილმოწყობილი პლაჟი ექნება. მალთაყვის სანაპირო ზოლის მშენებლობის პროექტის ღირებულება 18 500 000 ლარია და ის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება. სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებულია 15 ადამიანი. პროექტი 2018 წელს დასრულდება.

ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად შევხვდი კოსტავას № 16, N18 და ჭავჭავაძის ქუჩის N138, №140, N142, ასევე მზარელუას ქუჩის N38, N40, N42 საცხოვრებელი კორპუსების მოსახლეობას მოვისმინე მოსახლეობის პრობლემების შესახებ და გავაცანი მათ 2017 წელს აღნიშნულ კორპუსებში დაგეგმილი და ეტაპობრივად განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ჩემთვის, ძალზედ მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან კომუნიკაცია. ჯერ კიდევ არჩევნების პერიოდში დავპირდი მათ, რომ შეხვედრები ხშირი ინტენსივობით მექნებოდა და მათგან წამოსულ საინტერესო წინადადებებსა და მოსაზრებებს გავითვალისწინებდი, ერთობლივად დავსახავდით პრობლემების მოგვარების გზებსაც.“ განვუმარტე მათ, რომ სულ მალე, ორი სამკერვალო ფაბრიკა შევა ექსპლუატაციაში. ამჟამად, მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს, დაწყებულია ფაბრიკაში ქალბატონების მიღება და დავებმარები მათ დასაქმებაში.

ასევე შევხვდი დ. თავდადებულის N7,N9,N11 და ნ.არზიანის N2, N4, N6 ქუჩების მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მაცხოვრებლებს და კორპუსების პრობლემების შესახებ ინფორმაცია ადგილობრივებისგან მოისმინე. ამ ქუჩებზე სახურავების შეკეთების, ლიფტების და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის, ქუჩებზე მოხრეშვა-დაგრიდერების სამუშაოები გაიმართა. კაპიტალურად შეკეთდა თავდადებულის ქუჩაზე მდებარე მინი სპორტული მოედანი.

იენისის თვეში ლტოლვილთა დანიის საბჭოს დირექტორთან ვინსენტ დონტონთან და პოლონეთის ელჩის მრჩეველ პეემისლავ პიეჟმასთან ერთად ის ადგილი დავათვალიერეთ, სადაც 2017 წლის ბოლომდე დევნილი ბავშვებისთვის სკოლამდელი საადმინისტრაციული დაწესებულება აშენდება. დევნილთა ჩასახლებაში, სადაც 1 244 დევნილი ოჯახი ცხოვრობს, ამ დრომდე არც ერთი საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებდა. სახელმწიფომ გაითვალისწინა დევნილი ოჯახების მოთხოვნა, საერთაშორისო პარტნიორებისა და დონორების ხელშეწყობით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენებული და აღჭურვილი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო. პროექტი ლტოლვილთა დანიის საბჭოსა და პოლონეთის მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება და მშენებლობის სატენდერო ღირებულება 160 000 ევროს შეადგენს. საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ახორციელებს.

სისტემატურად ვღებულობ მონაწილეობას გამწვანების აქციაში. მალთაყვის ტერიტორიაზე აქციის ფარგლებში დაირგო 15 ძირი კვიპარისის, 70 პავლოვნიისა და 130 უზბეკური თუთის ნერგი.

ჩვენ გვესმის თითოეული ჩვენი მოქალაქის გულისთქმა, ამიტომაც ნაბიჯ-ნაბიჯ წინდახედულად ვაკეთებთ და მომავალშიც გავაკეთებთ იმას, რაც ხალხის ცხოვრებას გააუმჯობესებს. საკრებულო დემოკრატიული არჩევნებით მოსული თვითმმართველობაა, ამიტომაც გვაქვს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა. საკრებულოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, დადგენილება თუ განკარგულება ჩვენი ქალაქის მაჯისცემას ასახავს და ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობას იცავს. რწენას გამოვთქვამ თქვენი მხარდაჭერით, ერთობლივი ძალისხმევით და პასუხისმგებლობით მივაღწევთ სასურველ შედეგს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია